დედებო, თქვენი დღესასწაული მარადიულია!

# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

2 მარტი
ხუთშაბათი
2023 წელი
№10 (9272)
ფასი 40 თეთრი


## სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტი ბაკურიანში



– **დიდი შთაბეჭდილების** ქვეშ ვარ. ეს ადასტურებს, რომ არა მხოლოდ ცენტრალურ ევროპაში, არამედ საქართველოშიც შეიძლება მოეწყოს ასეთი შესანიშნავი ტურნირი, – განაცხადა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტმა, **იოჰან ელიაშმა,** რითაც ბაკურიანის მსოფლიო ჩემპიონატი, მისი მომზადების დონე და საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობა შეაფასა.

იოჰან ელიაში ბაკურიანს ეწვია, სადაც ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობას დაესწრო. მან დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, რომელიც საქართველოს მთავრობამ სპეციალურად ჩემპიონატისთვის ააშენა.

– თქვენ გაქვთ შესანიშნავი მთები, რომლებიც ხელს გიწყობენ და ვფიქრობ, რომ ამ მთებს დიდი პოტენციალი აქვთ ზაფხულის თვეებსა და სეზონის დასაწყისში, რადგან ამ პერიოდში ადამიანებს სხვა ნახევარსფეროში გამგზავრება უწევთ სავარჯიშოდ. საქართველო უფრო ახლოსაა. სათხილამურო ტრასები და თოვლის ხარისხი ფანტასტიკურია, ამიტომ ვხედავ აქ დიდ პოტენციალს. ცხადია, ჩვენ შეგვიძლია დავბრუნდეთ და მეტი ღონისძიება გავაკეთოთ მსოფლიო ჩემპიონატის ტურნირის ფარგლებში. ეს შესანიშნავი პიარია ქვეყნისთვის და, ზოგადად, ტურიზმის პოპულარიზაციისთვის და ამით შეიძლება შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, – განაცხადა ელიაშმა.

იოჰან ელიაშს ჩემპიონატის ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, **მარიამ ქვრივიშვილმა** და მთის ტრასების სააგენტოს დირექტორმა **ირაკლი ბურჭულაძემ.**

შეგახსენებთ, რომ ბაკურიანი 2023-ის ღონისძიება საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით ტარდება, რომელშიც 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი ასპარეზობს. მსოფლიო ჩემპიონატზე 7 სახეობაში 30 შეჯიბრი გაიმართება. ჩემპიონატი საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ტარდება, ორგანიზატორი კი – მთის ტრასების სააგენტო და საქართველოს სათხილამურო ფედერაციაა.

საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტი **იოჰან ელიაში** მიიღო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** და ესაუბრა მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისა და სამომავლო გეგმებზე.



**ბაკურიანის** ფრისტაილის, სნოუბორდსა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში, კომპანია „დოპელმაიერის" ორგანიზებითა და მთის ტრასების სააგენტოს (MTA) ჩართულობით, საქართველოს 7 ქვეყნის სათხილამურო კურორტების 40-მდე წარმომადგენელი ესტუმრა.

– **ძალიან ვამაყობთ, რომ დღეს აქ, ბაკურიანში ვიმყოფებით და საქართველოს ამ დიდი მიღწევის თანამონაწილეები ვართ. საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ტარდება აქ და მინდა ეს საქართველოს მივულოცო,** – თქვა კომპანია „დოპელმაიერის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ტომას ფიხლერმა.**

ვიზიტი მიზნად ისახავს სტუმრები გაეცნონ და გაიზიარონ ის გამოცდილება, რომელიც საქართველომ სამთო-სათხილამურო კურორტებზე ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ბოლო წლებში დააგროვა.

– სტუმრებმა ადგილზე დაათვალიერეს ბაკურიანის ინფრასტრუქტურა, მათ შორის, ახალი საბაგიროები და ხელოვნური ტბის რეზერვუარები. მათი მხრიდან საკმაოდ მაღალი შეფასება დავიმსახურეთ. უნდა აღინიშნოს, რომ უკლებლივ ყველა სტუმარმა გაოცება ვერ დამალა, როგორ შევძელით ასეთ მოკლე ვადებში ბაკურიანში მაღალი დონის ინფრასტრუქტურის მოწყობა და ასეთი მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირის მასპინძლობა, – აღნიშნა MT-ს დირექტორმა, **ირაკლი ბურჭულაძემ.**

ყაზახეთის კურორტ „შიმბულაკის" დირექტორის, **რინატ აბდრახმანოვის** განცხადებით, ის ბაკურიანს 2021 წელს სტუმრობდა, თუმცა, ამ მცირე პერიოდში ბაკურიანში ჩასულს, კურორტზე უამრავი სიახლე დახვდა.

– აქ უკვე მეორედ ვარ და გაოცებული ვარ იმით, თუ როგორ არის მომზადებული ბაკურიანი მსოფლიო ჩემპიონატისთვის. პირველად 2021-ში ჩამოვედით და არაფერი იყო, ამჯერად კი კარგად ვხედავთ, ყველაფერი როგორი ორგანიზებული და კეთილმოწყობილია. იმედი მაქვს, ყველა ქვეყანა ისიამოვნებს მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატით, – აღნიშნა **რინატ აბდრახმანოვმა.**

## გილოცავთ!

**ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის და მისი გამგეობის სახელით სულით და გულით ვულოცავ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ქალს დედის დღეს – 3 მარტს და ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს – 8 მარტს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, პირად და ოჯახურ ბედნიერებას, შვილმრავლობას და მშვიდობიან საქართველოს!**

**ზაურ ლაზარაშვილი,**
**რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობის თავმჯდომარე.**

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**2023 წლის 24 თებერვალს გაიმართა საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.**

**დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №53 დადგენილებაში.**

**ასევე ცვლილებები შევიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №11 დადგენილებაში. „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის" საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №33 დადგენილებაში და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №8 დადგენილებაში.**

**იმსჯელეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების განსაზღვრის შესახებ".**

**დააკმაყოფილეს მერიის მოთხოვნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ამბულატორიები) უზუფრუქტის უფლებით გადაცემის შესახებ.**

**მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მერაბ იოსაშვილის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ს. თედელურის და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარის ელზა კუჭუხიძის ანგარიშები 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.**

**ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდა ზაზა ლორიას სახელი.**

**განიხილეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში რველში, ზანავში და კორტანეთში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა) სახელდების შესახებ.**

**ცვლილებები შეიტანეს „2023 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №გ-17.17223575 განკარგულებაში.**

**ცვლილებები შევიდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №გ-17.17213586 განკარგულებაში.**

## ღია წერილი გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორს ბატონ ვალერიან ლომიძეს!

**ბატონო ვალერიან!** როგორც ცნობილი გახდა, ათასობით ბორჯომელთა საყვარელ, საუკუნეს მიტანებულ გაზეთ „ბორჯომს" „კონკურენტი" გამოუჩნდა. პიროვნებამ, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა და ცდილობს, ჩვენს რაიონში ფეხი მოიკიდოს, არავითარი საფუძველი და ავტორიტეტი არ გააჩნია.

ვეტერან და დღევანდელ მოქმედ ჟურნალისტებს კარგად გვახსოვს, როცა ჩვენ საყვარელ გაზეთს არაერთი ხელმოცარული გამომცემელი „შემოესია", რამდენიმე ნომერი გამოუშვეს და შემდეგ „მტკვარმა წაიღო", მათი მცდელობა (გაზეთები „რეპორტი 2", „ჩვენი ბორჯომი"და სხვები) კონკურენცია გაეწიათ საყოველთაოდ აღიარებული გაზეთისათვის. საპნის ბუშტივით გასკდა და წყალწაღებული კაცის მცდელობას ჰგავს, (უბრალოდ არაეთიკურია, როცა კონკურენტი ჟურნალისტი არც კი გეკითხება, ტენდერში ისე ლებულობს მონაწილეობას).

ბევრმა ვერ შეძლო მდიდარი ტრადიციების მქონე ჩვენი გაზეთის კონკურენცია, მათ შორის ვერც პროფესიონალმა ჟურნალისტებმა და ვერც თვითმარქვია „ჟურნალისტებმა". ასე რომ, კიდევ ერთ, თუ მეტს არა, შეტევას უნდა გაუძლოთ, თქვენი საქმე აკეთოთ პროფესიონალურად. თქვენზე უკეთესად არავინ იცის მუნიციპალიტეტის ავ-კარგი თუ პრობლემები, მათი დაძლევის გზები, ამიტომ მოგიწოდებთ, მეტი ყურადღება დაუთმოთ პრობლემებს, არ მოერიდოთ ნაკლოვანებების წარმოჩენის ფაქტებს. ყოველთვის გახსოვდეთ, თუ რა სიმწარე და გაჭირვება გამოვიარეთ, (ჩემი თავის ჩათვლით) გასული საუკუნის 90-იან წლებში: სიდუხჭირე, უშუქობა, უმუშევრობა, სიცივე, უხელფასობა, უტრანსპორტობა. ფაქტიურად, ცარიელი ხელებით ვიბრძოდით გაზეთის გადარჩენისათვის. ფეხით დავდიოდით ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში, დაბა-სოფლებში, ხშირად მშივრები, ღამის 10-12 საათზე მივსულვართ სახლებში და გაზეთი გადავარჩინეთ. ამას იმიტომ ვიხსენებ (რა თქმა უნდა, არავის ვამადლი), რომ შედარება არ შეიძლება განვლილ წლებთან. სამწუხაროა, რომ ახლა, როცა დაძლეულია ბევრი გაჭირვება, გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც მზამზარეულ სუფრაზე უნდა მოლხენა. ეს არა მარტო უზნეობაა, არამედ ჟურნალისტისათვის შეუფერებელი!ურნალისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ კონკრეტული დავალების შესრულებასთან ერთად ფხიზელი გონებით შეაფასონ ვითარება და ყველაფერი გააკეთონ გაზეთის გადასარჩენად, მოიძიონ საინტერესო მასალები, არ დათმონ პოზიციები, აამოქმედონ ყველა რეზერვი გაზეთის გადასარჩენად, რათა არ დაღალატდეს ერთგული მკითხველი.

ამ წერილში კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ რაც ვთქვი, საკმარისია. ნათქვამია, მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – ზურგს უკანო. ასე რომ, კიდევ მეტი შემართებით, როგორც ზემოთ ვთქვი, ჭია-ღუები ვერაფერს დაგაკლებენ, ჩემო ვალერიან! კარგად ვიცი შენი შესაძლებლობები, დამსახურებული ავტორიტეტი გაქვს რაიონში, ნიჭი და ორგანიზატორული უნარი არ გაკლია, რომ იტყვიან, კიდევ ვნახავთ დამარცხებულ მეტოქეებს.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას შენდამი და გაზეთისადმი, კვლავაც ურყევია, მხარს გიჭერთ და მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობა მღალატობს, მიგულეთ თქვენს გვერდით.

გაუძეხი შენს აღზრდილ ჟურნალისტებს ახალი გამარჯვებისაკენ!

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

## ბორჯომის მუნიციპალიტეტი აცხადებს ახალგაზრდული საბჭოს წევრების მიღებას!

- **თუ შენ ხარ 16-29 წლამდე;**
- **იცნობ ადგილობრივი ახალგაზრდების პრობლემებს და გაქვს მათი გადაჭრის სურვილი;**
- **მზად ხარ, საკუთარი დრო და ენერგია შენი მუნიციპალიტეტის განვითარებას დაუთმო;**
- **გაქვს მოტივაცია, ჩაერთო გადაწყვეტილების მიღების პროცესში;**
- **გაქვს სურვილი, გაიუმჯობესო პიროვნული-პროფესიული უნარ-ჩვევები და კომპეტენციები;**
- **გინდა ჩაერთო, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ტრენინგებში;**
- **აპლიკაციების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 21 მარტი, 18 საათი;**
- **დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**
- ***ლანა გიორგიძე 551 000 889; შოთა გელაშვილი 599 574 349.***

***გისურვებთ წარმატებებს!***

# 3 მარტი დედის დღეა, გილოცავთ და გეფერებით დედებო!

## ბედნიერი დედა და ბებია

**ამ შვიდი-რვა** თვის წინ „თიბისი ბანკში“ შესულს (მაშინ ბანკი ძველ ოფისში მდებარეობდა) ხალხმრავლობის გამო მოცდა მომიწია და პირველი სართულის ფოიეში რბილ სავარძელზე ჩამოვჯექი. იქვე სათნო სახის, ასაკოვანი დამლაგებელი ქალბატონი ფუსფუსებდა. ბოლოს დაღლილი ჩემს გვერდით ჩამოჯდა, მომესალმა და მკითხა: ახალი გაზეთი „ბორჯომი“ უკვე ჩამოვიდა თუ არაო (ხუთშაბათი დღე იყო). ძალზე მესიამოვნა, ეს ქალბატონი ჩვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი რომ აღმოჩნდა. მაშინ მომერიდა და სახელი და გვარიც ვერ ვკითხე, მაგრამ გულში ჩავიდე, როდისმე ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის გამეცნო იგი. და, აი, დედის დღესთან დაკავშირებით ქალბატონი გამახსენდა და „თიბისი“ ბანკის ახალ ოფისში ვეწვიე მას.



ის აღმოჩნდა **მზია ღონღაძე**, ჩვენი განთქმული ქორეოგრაფის **ნინო მდივნიშვილის** დედა! ნინოს გარდა მას და თემურ მდივნიშვილს კიდევ ჰყავთ ორი ქალიშვილი: შორენა და ნანუკა.

ქალბატონი მზია დიდი სტაჟის მქონე ყოფილი ექთანია. მან ახალციხეში დაამთავრა საექთნო სასწავლებელი და 1972 წელს ვაშლოვანაში მდებარე ახლადგახსნილ საავადმყოფოში, თერაპიულ განყოფილებაში ექთნად დაიწყო მუშაობა. წარმოშობით ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანიდან არის. მალე ბორჯომელთა რძალი გახდა, ჩამომსხმელ ქარხანაში მომუშავე თემურ მდივნიშვილს გაყვა ცოლად. როცა ვკითხე, მაინც სად და როგორ გაიცანი-მეთქი, ღიმილით მიპასუხა: თემური ჩვენს განყოფილებაში სამკურნალოდ დაწვა და თურმე ჩემს გამო (მერე გამომიტყდა) ერთი თვე გააგრძელა „მკურნალობა!“, სიამოვნებით გაიხსენა საავადმყოფოში მომუშავე ექიმები და ექთნები. მეც მოვუყევი, ძველმა საავადმყოფომ თუ როგორ „გამიხსნა ბედი“, როცა „მთის ხეობაში“ ჩამოსული დამსვენებელი ზაფხულში ცივი „ბორჯომის“ უზომოდ სმის გამო თირკმელებმა მიმტყუნა და სულიკო თიბილოვის პაციენტი აღმოვჩნდი. (სულიკო ექიმი ახლა ვლადიკავკაზში ცხოვრობს და ძალიან მენატრება!). ჩემს პალატაში დააწვინეს მოხუცი კაცი და რამდენიმე თვეში ის ჩემი სიმამრი გახდა, რადგან შვილი მარინა მას ხშირად ნახულობდა!

„ძველ“ საავადმყოფოში 6 წლის მუშაობის შემდეგ ქალბატონი მზია რკინიგზის ბალნეოლოგიურ საავადმყოფოში (ფაფაში) გადავიდა სამუშაოდ და 1988 წლამდე იქ მუშაობდა. მერე კი ქვეყანა დაინგრა და ყველაფერი დაიხურა და გაპარტახდა... ასევე სინანულით გაიხსენა მან ამ საავადმყოფოს დირექტორი, სულგანათლებული როინ ბოლქვაძე.

ქალბატონი მზია ბედნიერი დედა და ბებიაა, თუმცა მწუხარებაც შეახვედრა წუთისოფელმა, - მეორე შვილი, სამი წლის გოგონა გარდაეცვალათ: „იმან წაიღო ჩვენი სული და გული“...

სამივე ქალიშვილი დაოჯახებულია. შორენას ორი შვილი ჰყავს (იგი საბავშვო ბაღში სპეცმასწავლებლად მუშაობს): ინგა და თორნიკე მესხები; ნინოს შვილებია: მეშვიდეკლასელი ლიზი და მეოთხეკლასელი სანდრო მაღლაკელიძეები. ნანუკა ფარმაცევტია, მას ერთი შვილი ჰყავს - ოთხი წლის ნიკა.

- შვილები მეუბნებიან: ოჯახში დაჯექი, დაისვენეო, მაგრამ შინ ვერ ვძლებ, ჯერ მაღაზიაში ვმუშაობდი, ხუთი წელია, აქ დავიწყე მუშაობა...

რაც მთავარია, ქალბატონი მზია ჩვენი გაზეთის გამორჩეული და მუდმივი მკითხველია! გვიმრავლოს მისთანები!

ვულოცავ ქალბატონ მზია ღონღაძეს დედის დღეს - 3 მარტს და ქალთა საერთაშორისო დღეს - 8 მარტს, აგრეთვე მის შვილებს: ნინოს, შორენას, ნანუკას, მათი სახით ყველა ქალს და დედას! იხარეთ და იბედნიერეთ!

**უშანგი ჯანგირაშვილი**

## წარმატებული შვილების დედა

**- როდესაც ბედნიერი ვარ, მინდა ცაზე დავწერო, ბედნიერი ვარ - ადამიანებამდე მივიტანო... დედის ხვალინდელი დღე! შენით მე ვისწავლე გზა! გულის მალამო ხარ დე!... სულის სიამისთვის ქმნილი! თედო დედიკოს პირიმზე შვილო, გილოცავ!...**

**- სამყარო შენი თვალებიდან იწყება დედი!...**

**- შვილო... მე შენში ვხედავ ათივე მცნებას!...**

**„მიყვარხარ შვილო - რამდენჯერ მითქვამს და მაინც მინდა გითხრა ათასჯერ! გამრავლდი შვილო - ცაზე ვარსკვლავად! იხარე შვილო, შენი ტკივილი მე მერგოს ყველა! დედის სიცოცხლე ხარ - შენ!... დედის თვალვარსკვლავა შვილი!... გილოცავ დედი 23 უბედნიერეს წელს.**

დედის ყველაზე ამაღელვებელი სიტყვები **თამარ და თედო ფხიკიძეებისადმია** მიძღვნილი. მათი ყოველი წარმატება დედის გულს წარმოუდგენელი სიხარულით ავსებს და სამყაროს ყველაზე კაშკაშა ფერებით აფერადებს. ბორჯომის №1 ბაგის დირექტორს **ნათია გელაშვილს** ამჯერად, როგორც წარმატებული შვილების დედას ისე ვესაუბრეთ.



**თამარ ფხიკიძე** სამჯერ იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის სტიპენდიანტი და შვიდჯერ მოიპოვა სახელმწიფო სტიპენდია. დაამთავრა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია. სპორტკომპლექსი „არენა“ დღეს ახალგაზრდა ექიმის სამუშაო სივრცეა.

**თედო ფხიკიძე** ოქროს მედალოსნის სერტიფიკატის მფლობელი, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის პროგრამის წარმატებით დამთავრებისათვის - ოქროს მედლის მფლობელია. აღნიშნულ მის წარმატებებს შორის ერთ-ერთია, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამართლის მეორე კურსის სტუდენტმა მიიღო.

ახალგაზრდა ვაჟკაცი, ტიხრულ მინანქარზეც მუშაობს და საუცხოო ნამუშევრებსაც ქმნის და ამავე დროს თვითნასწავლი მხატვარიცაა. პროგრამა „სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“ სტიპენდიანტია და ახლა უკვე ბორჯომელი წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიის მოლოდინშია.

წარმატებულ და შრომისმოყვარე შვილებზე დიდი ბედნიერება დედისთვის არ არსებობს.

- დაბადებიდან ორივე იყო მშვიდი, ზომიერი და ღირსეული თვისებების. ყველა საფეხურზე იყვნენ მოტივირებულები. მიმიხაროდა სკოლაში მისვლა, რადგან მათი წყალობით ფრთა გაშლილი მოვდიოდი. როგორც მათი აკადემიური მოსწრებით, ასევე დისციპლინის კუთხით არ მაგონდება რაიმე სერიოზული პრობლემა. მარტივად ითვისებდნენ საგნებს და არ დამჭირვებია განსაკუთრებული ძალისხმევა მათი პიროვნების ჩამოყალიბებაში. ყოველთვის თხოვნით მივმართავდი და არასოდეს ბრძანებით, ცდილობდნენ მისაბაძები ყოფილიყვნენ და საპატიო ადგილი დაემკვიდრებინათ საზოგადოებაში.

ყოველთვის ვაქებდი პირისპირ და შთავაგონებდი რა შეცდომაც არ უნდა მოსვლოდათ ცხოვრების მანძილზე თანადგომა ექნებოდათ და ჩემთვის უდანაშაულოები იქნებოდნენ. ამით ინტერესი ულვივდებოდათ ყოფილიყვნენ მუდამ კარგები და იწვევდა მათში აღფრთოვანებას.

არჩეული პროფესიები იმდენად მოირგეს და დაიმკვიდრეს თავი სრულიად უცხო გარემოში, მათ გაუჩნდათ მეტის მიღწევის, შეცნობის წარმატების დაუოკებელი სურვილი.

ჩვენ, ერთად დავიზარდეთ თითქმის, დღემდე ისე მოვდივართ, ერთმანეთის გარეშე არაფერი გადაგვიწყვეტია.

**მნიშვნელოვანი არ არის ის, სიცოცხლეში რამდენი რამის დაზეპირებას მოასწრებ. ცხოვრებაში მნიშვნელოვანია, მოასწრო ადამიანად ყოფნა და იყო ქვეყნისთვის შენაძენი, დედისთვის რაც ყველაზე სასიხარულოა. ვფიქრობ მათ შესანიშნავად ისწავლეს სიკეთის გამრავლება და გაყოფა, გვითხრა ქალბატონმა ნათიამ, რომელის გულში შვილებს სითბო და სიყვარული ულევად მიაქვთ. ასე გაგრძელებულიყოს კიდევ მრავალი წელი და ბედნიერება არ მოჰკლებოდეთ მათ ოჯახს.**

**დედის დღეს ვულოცავ ქალბატონ ნათიას და მასთან ერთად ყველა დედას!**

**იზა იანვარაშვილი**

### ხელოვანთა ახალგაზრდა ოჯახი

## მრავალი სასიკეთო იდეა და ჩანაფიქრი აქვთ

**თორნიკე თორელის და მისი უნიჭიერესი მეუღლის ნინო აბულაძის შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველებს რამდენიმე წლის წინათ საინტერესო და ვრცელი ინტერვიუ შევთავაზეთ. მათი ხელოვნების ლაბორატია 2017 წლიდან გამოჩდა სოციალურ ქსელში, რომელმაც დამთვალიერებელთა და მომხმარებელთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა და დღესაც ყურადღების ცენტრშია. სწორედ საცხოვრებელი კორპუსის სხვენში ჩაეყარა საფუძველი იმ დიდ საქმეს, რომელსაც თორელის ხელოვნების ლაბორატორია ჰქვია და რომელსაც დღეს უკვე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ძალიან კარგად იცნობენ. კორპუსის სხვენის ერთ პატარა სივრცეში ახდენდა თორნიკე საკუთარი იდეების რეალიზებას და თან პარალელურად დისტრუბუციაში მუშაობდა. ყოველ ხელფასზე კი სამუშაოდ თითო იარაღს ყუდულობდა და ასე ნაწილ-ნაწილ დაიწყო მუშაობა და საკუთარ ნაკეთობებს დღეს უკვე ინტერენტის მეშვეობით როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ყიდის. საყვარელ მეუღლესთან სწორედ ხელოვნებამ დააკავშირა და ერთობლივი ძალებით ქმნიან ისინი ყველასაგან გამორჩეულ ნამუშევრებს. ნინო ამჟამად უცხოურ ბაზარაზე მუშაობს და საკუთარ ნამუშევრებს საზღვარგარეთ, კერძოდ კი, ამერიკაში აგზავნის. თორნიკეს ცხოვრებაში შემოქმედებითი კუთხით სიახლე აქვს, რომელიც მისი პროექტის გამარჯვებას უკავშირდება პროექტ „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში. მას უამრავი სიახლე აქვს დაგეგმილი არა მარტო საკუთარი ნამუშევრების რეალიზების, არამედ, წამოწყებულ საქმეში ბორჯომელი ახალგაზრდების აქტიურად ჩართვის კუთხითაც. თორნიკეს აღნიშნულ სიახლესთან დაკავშირებით ვთხოვეთ ჩვენთან საუბარი:**

- 2021 წელს ბენზინ გასამართ სადგურზე მუშაობის პერიოდში შემთხვევით გავიცანი ჩვენი მომხმარებელი, ერთ-ერთი ბიზნესმენი, რომელსაც გავაცანი ჩემი იდეა და მიზნები. მან გამოიჩინა კეთილი ნება და დამიფინანსა სახელოსნოს განვითარება, რის შედეგადაც ვიყიდე ახალი დაზგა-დანადგარები და გავფართოვდი. სხვენიდან ავტოფარეხში გადავინაცვლე. ერთწლიანი მუშაობის შემდეგ კი ჩემ მიერ დაწერილმა პროექტმა „აწარმოე საქრთველოში“ გაიმარჯვა და გრანტის მაქსიმალური ოდენობა მოვიპოვე, რომლის საფუძველზეც გადავინაცვლე სრულიად ახალ ლოკაციაზე თორის ქუჩის 40 ნომერში. ინგლისიდან ჩამოვიტანე ახალი დანადგარები და გავხსენი ხისა და რკინის საამქრო. აღნიშნულ ლოკაციაზე განვათავსე მაღაზია, სადაც გაიყიდება ჩემი ნამუშევრები და მომხმარებელს საშუალება ექნება ადგილზე გაეცნოს დეტალებს და დაათვალიეროს და დაესწროს მუშაობის პროცესს. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ახლოს ვიყოთ მომხმარებელთან და შევძლოთ მათი იდეები და სურვილები რეალობად ვაქციოთ. საწარმო მუშაობს ნებისმიერი სირთულის სამშენებლო თუ საყოფაცხოვრებო (ავეჯის, სუვენირების, თუ სხვადასხვა უსარგებლო ძველი ნივთებისგან ყველასგან გამორჩეული, უნიკალური და ერთადერთი) ხისა და რკინის ნაკეთობებზე. ეს იქნება სამშენებლო თუ საყოფაცხოვრებო. როგორც მომხმარებლების, ასევე ჩვენი სურვილიცაა, რომ რაც შეიძლება მალე შევძლოთ ჩვენი სტუდიის გახსნა, სადაც შესაძლებელი იქნება როგორც ხატვის, ასევე სახვითი ხელოვნების, ხეზე მუშაობის, ჩუქურთმის შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება. ვიმედოვნებ, მალე მოგვეცეს იმის შესაძლებლობა, რომ გავახაროთ ის ბავშვები, რომლებიც ასე ელოდებიან სტუდიის გახსნას. ბევრი სასიკეთო იდეა და სურვილი მაქვს, პირველ რიგში მინდა, აქაურ ახალგაზრდებს ჰქონდეთ ის, რაც ნამდვილი ხელოვნებაა და რაც მე მინდოდა, რომ მქონოდა. გვინდა განსხვავებული და განსაკუთრებული სწავლის მეთოდი შევთავაზოთ ჩვენს მოსწავლეებს, რომელიც გასვლით გაკვეთილებზე ჩვენი ისტორიული ადგილების მონახულებაზე იქნება ორიენტირებული. აღნიშნული კი თავისთავად მოიცავს ისტორიული ადგილების საფუძვლიან გაცნობას, ისტორიული ძეგლების ჩუქურთმისა და ორნამენტიკის გაცნობას. ასევე ღია გამოფენა-გაყიდვებს და კიდევ უამრავ საინტერესო აქტივობას. დიდი იმედი გვაქვს თანაქალაქელების აქტიურობისა და გვერდში დგომის, რათა შევძლოთ აღნიშნულ ეტაპებზე გადასვლა და „თორელის ხელოვნების ლაბორატორიის“ უფრო მეტად განვითარება. ჩვენ ქალაქს და რაიონს ნამდვილად სჭირდება ახალი, ჯანსაღი სრულყოფილი კომპანია, რომელიც დაამზადებს როგორც ინვიდუალურ ნაწარმს, ასევე აღზრდის ჯანსაღ თაობას.



**მოამზადა ნატო მელიქიძე**

### წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

## ქართვლის დედას

**„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.**

**ლეიბნიცი**



**ქართვლის დედაო! მუძუ ქართვლისა**
**უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;**
**დედის ნანასთან ქვითინი მთისა**
**მას უმზადებდა მომავალ გმირსა...**
**გაქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,**
**კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა**
**სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,**
**თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა.**
**მითხარ, სადღაა მამაპაპური**
**მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,**
**სახელისათვის ამაყი თრთოლა,**
**მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?**
**მას ნულარ ვტირით, რაც დამარხულა,**
**რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა;**
**მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...**
**ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,**
**ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,**
**ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...**
**აქ არის, დედავ, შენი მაღალი**
**დანიშნულება და საღმრთო ვალი!**
**აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,**
**საგზლად ხმარობდე ქრისტესა მცნებას,**
**შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,**
**ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, -**
**რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს**
**და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...**
**მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,**
**და მოგცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.**
**დედავ! ისმინე ქართვლის ვედრება:**
**ისე აღზარდე შენ შვილის სული,**
**რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება,**
**უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.**

## დავარისხოთ განგაშის ზარები!

# დროა დაფიქრდეთ!

**ის იყო** სამსახურიდან სახლში შევედი და... დიდი ემოციური მუხტით სიცილ-კისკისი შემომესმა. ფანჯარაში გავიხედე და რას ვხედავ: ექიმების ბინის სკვერის პავილიონი ბავშვებითაა გადავსებული. ვერ გეტყვით. ზუსტად რა ასაკის მოსწავლეები იყვნენ, დაახლოებით კი VIII-IX კლასის უფრო... ბავშვების ჟრიამული და აჟიოტაჟი ჩემთვის უცხო არაა, თუმცა ერთმა ფაქტმა კი ძალზე გამაკვირვა და გამაბრაზა კიდეც... რამ?.. გეტყვით, რაც ჩემი თვალით ვიხილე და ჩემივე ყურით მოვისმინე, - თანამედროვე სლენგებით და „ბრენდებით" გაჯერებული „რეჩი" და მთავარი, - მოქმედება!.. ის იყო სარეცხი ჩამოვხსენი თოკიდან, რომ ერთი გოგონა გამოეყო „შანტრაბას" და სიგარეტის ბოლებით გასწია გზისაკენ, მალე მას მეორე მწეველი მიჰყვა, იქიდან კი ოთხი გოგონა შემხვედრი მიმართულებით შეხვდა და მერე ერთად დაუბრუნდნენ „პავილიონს". იქ მშვიდად გააგრძელეს სიგარეტის გაბოლება და შეკვლებები. ალბათ შატალოზე გაპარულები თუ იყვნენ და თვალს მოერიდნენ, სკოლის ტერიტორიიდან მოშორებით ეგულებოდათ გასართობი ადგილი.



დღეს თითქოს საოცარი აღრაფერია და თვალი და ყური შევაჩვიეთ მსგავს ფაქტებს, მაგრამ მე ვერასოდეს მოვიყრუებ ყურს და ვერ დავიბრმავებ თვალს, რადგან 33 წელია თაობის ზრდა-განვითარების სადარაჯოზე ვდგავარ და რის მნახველ-გამგონი არ ვარ, მაგრამ ასე მოურიდებლად ეწეოდნენ და თავი „მაგარ ტიპებად" მიაჩნდეთ, იშვიათად, თუმცა ბიჭები ქუჩაში მოურიდებლად ეწევიან, გოგონებს კი მორიდების გრძნობა საერთოდ არ გააჩნიათ, მითუმეტეს მეტი რეაქცია მაქვს გოგონების მიმართ, როგორც მომავალ დედებზე, ცოლებზე!.. ნუთუ ბიოლოგიის გაკვეთილზე პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზე არ მოძღვრავს მასწავლებელი, არ უხსნის, არ ესაუბრება სიგარეტის მავნებლობაზე?!.. თუ ისინი ყურად არ იღებენ დარიგებას? ან კიდევ მშობლები არ აკონტროლებენ, არ ამოწმებენ და არ გრძნობენ სიგარეტის სუნს! მათ ტანსაცმელს ხომ შეწოვილი აქვს ეს სუნი?!.. ან საუბრისას არ გრძნობენ მას?!.. თუ ნაკლებად ცალიათ ამისათვის?!.. და ან რა ქნას მარტო პედაგოგმა, რომლის რეგლამენტი ორმოცწუთიანია?! დღეს თითქოს სწავლა საყოველთაო აღარაა, არც „გაცდენებია" ხელისშემშლელი ფაქტორი? სულ მცირე ნაწილია ნებისმიერი კლასიდან, ვინც სწავლით ინტერესდება და სასწავლო პროცესი მისთვის დიდი სიამოვნებაა, დანარჩენი ინდიფერენტულია და ეს მდგომარეობა არც უნდათ შეცვალონ და კარგავენ ამ განუმეორებელ დროს და სხვა „აკრძალული ხილითაც" ინტერესდებიან... მოზარდის „ცნობისწადილი" უსაზღვროა და რა გარანტიაა „მსუბუქ" ნარკოტიკითაც არ დაინტერესდნენ, შედეგი კი მასზე დამოკიდებულებაა!!!

მოგახსენებთ, რომ რაიონის მასშტაბით უამრავი შემთხვევაა მსგავსი ფაქტების, რაც შეუქცევად პროცესში გადაიზრდება... შევახსენებ ყველა მშობელს, მეტი ყურადღებით მიუდგნენ შვილების აღზრდას, მათი დაკავებულობის მიუხედავად და სკოლასთან ერთად ჩაებნენ სასწავლო სამკუთხედში: „მშობელი-მოსწავლე-მასწავლებელი". ნახევარი საათით მაინც დაინტერესდნენ, თუ რა მიაქვთ და რა მოაქვთ მათ შვილებს სკოლაში და სკოლიდან. მხოლოდ სემესტრის ბოლოს ნუ დაინტერესდებიან (ზოგი) მხოლოდ ნიშნებით და არა მათი შვილის ცოდნით. წაიღონ სკოლიდან ზოგადი განათლება, რაც აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, თავი რომ ადამიანად იგრძნოს!..

ნუ აფლანგვინებთ თქვენს შვილებს ამ ძვირფას დროს. ნუ შეუწყობთ ხელს თქვენივე შვილების გაუცხოებას და მერე 3-4 რეპეტიტორთან ფულების ყრას (სადღაც მაინც ხომ მოხვდებიან 20 ფაკულტეტიდან ერთ-ერთში..!)

და, რაც მთავარია, ჩასვით ისინი „მორალურ ჩარჩოებში", რათა არ აღმოჩნდნენ „მობილურის ტყვეობაში", - გაკვეთილზეც რომ არ უშვებენ ხელიდან შენიშვნების მიუხედავად და არ უსმენენ პედაგოგს და თითქოს წაართვეს კიდევაც მასწავლებლის როლი, რაც ასე რთული და საპატიოა.

**მარიზა ჯიქია,**
**მასწავლებელი, ექიმი, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.**

# „შვილებს მიხედეთ მამებო!



**ჟურნალისტი ბესო ჩუბინიძე სოციალურ ქსელში წერს, რომ ერთ-ერთ დახურულ ჯგუფში პატარა გოგოების ისეთი პოსტები და კომენტარები წაიკითხა, რომ აქამდე მსგავსი არაფერი მოუსმენია. მისი თქმით, საქართველოში ახალი თაობა იღუპება და მშობლებს შვილების გაკონტროლებისკენ მოუწოდებს.**

- ხალხნო! რა ნაცისტები და რა ქოცისტები! რა აფხაზეთი და რის უკრაინა. რა გმირები და რის ანტიგმირები.

ახლახან ერთ-ერთი ქალთა დახურული ჯგუფიდან დასქრინული პოსტები და მასზე დატოვებული კომენტარები გამომიგზავნეს და... დაა... დააა...

თაობა გველუპება ხალხო!!!! ახალგაზრდა, მოზარდი გოგონების თაობა, ადამიანებო!!!! მომავალი დედები, მომავალი ქართველები, ხალხო!

47 წლის კაცი ვარ და ასეთი რამეების წარმოდგენა და გააზრება მეც კი გამიჭირდა, მიუხედავად ჩემი მრავალ-ტანჯვა-გამოვლილი პროფესიისა...

**იცით, მაინც რაებს წერენ, იცით, მაინც რაზე წუხან, იცით, მაინც რას ითხოვენ, იცით, მაინც რა აზრებს უზიარებენ ერთმანეთს პატარა გოგონები?! - არ იცით! არ იცით! ა რ ი ც ი თ!!! კოშმარია!**

ვერ ვიტყვი! ვერ დავსქრინავ! ვერ გავაპიარებ!!!!

შვილებს მიხედეთ! შვილები აკონტროლეთ!

რამენაირად დაუთმეთ ამას დრო...

მე მეგონა ყველაფერი ნანახი მქონდა და ყველაფერი წაკითხული მქონდა... მაგრამ ასეთი გარყვნა?!!! ასეთ ასაკში?!!!

**რა მიშა, რა ბიძინა, რა ომი, რა ბრძოლა - მორალურად გაგვანადგურეს და „ვერ მივხვდარვართ" უომრად, უსისხლოდ, უგმიროდ - გვანადგურებენ! შვილებს მიხედეთ მამებო!", წერს ბესო ჩუბინიძე.**

**რედაქტორისაგან: ერთი შეხედვით ამ „უხერხულ" თემებზე, რომლებსაც დღეს გაეცანით, ჩვენი გაზეთიც არაერთხელ წერდა. წერდა იმ სამარცხვინო მოვლენის შესახებ, რაც ყოფილი სამხედრო კომისარიატის (ამჟამად გაზეთ „ბორჯომის" რედაქციის ეზოში ხდება). თითქმის ყოველ დღე, ღამის საათებში თავს იყრიან თინეიჯერები, მეორე დილით კი ჩვენ გვიწევს დაბინძურებული ეზოს დასუფთავება და გადავსებული ურნების დაცლა. რედაქციის წინ არსებულ ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოებში არ შეისვლება, ისეა აქოთებული. რედაქციის მუშაკთა და მაცხოვრებელთა არაერთი გაფრთხილებას არავინ ითვალისწინებს, არაერთხელ ღამის საათებში ძალით გავაგდეთ მოზარდები ეზოდან. გაკვირვებულები ვართ, როგორ ძინავს მშობელს, როცა მისი თინეიჯერი შვილი ღამის 12-2 საათებში სახლში არაა. დადგა დრო, ვიფიქროთ მცირეწლოვანთა ასეთ აღვირახსნილ თავისუფლებაზე, რომელიც თავგასულობას უფრო გავს. სამწუხაროდ დავიწყებულია პედაგოგიკის ფუძემდებლური მოთხოვნა - სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. ამ სამიდან მოზარდისათვის აღარავის სცალია, მაშ, ვიღას ვუტოვებთ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას?!**

**გამოგვეხმაურეთ, მოგწერეთ, ერთად ვიმსჯელოთ პრობლემის გადასაწყვეტად!**

## „მტრედის ხიდის" ისტორიისათვის

# ამ ხიდზე გავლა ყველას უხარის

**ქალაქი** ბორჯომი და ბორჯომის ხეობა თვალწარმტაცი ბუნების გარდა, გამოირჩევა შესანიშნავი ინფრასტრუქტურული და ისტორიული ნაგებობებით, რომელთა შორისაც ხიდებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ისინი ქალაქის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ, რადგან ბუნებრივ დაბრკოლებას, მდინარე მტკვარს, ვიწრო ხეობაში განლაგებული ქალაქი ორ ნაწილად აქვს გაყოფილი და მათ მთავარ დამაკავშირებელ ფუნქციას ასრულებენ. ქალაქის სატრანსპორტო ქსელის განვითარება, მთლიანად ხეობის სატრანსპორტო ქსელის ანალოგიურია: მდინარის მარჯვენა ნაპირზე განლაგებულია ხაშური-ახალციხის სარკინიგზო ხაზი თავისი ინფრასტრუქტურული ნაგებობებით, ხოლო მარცხენაზე განლაგებულია ხაშური-ვალეს საავტომობილო გზა. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვნად ართულებს ხიდების აგების შესაძლებლობას. ქალაქის განვითარების, მისი რელიეფისა და სატრანსპორტო ქსელის განლაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, მდინარის ორივე ნაპირის დასაკავშირებლად, ქალაქის ფარგლებში და მთლიანად ხეობაში ავტოგზისა და საფეხმავლო დანიშნულების ბევრი ხიდია აგებული, რომლებიც თავისი სქემითა და არქიტექტურული იერსახით კარგად ერწყმიან არსებულ სიტუაციას.



ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ე.წ. „მტრედის ხიდი", რომელსაც სხვა მრავალი ნაგებობის ანალოგიურად აქვს მის მშენებლობასთან დაკავშირებული საინტერესო ლეგენდა. იგი დაკავშირებულია საფეხმავლო კიდული ხიდის მზიდი ბაგირის მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გატანასთან. ლეგენდის მიხედვით ხიდის მზიდი ბაგირის მეორე ნაპირზე გადასატანად საჭირო თოკის (ან ბაგირის) ერთი ბოლო მტრედების (სავარაუდოდ საფოსტო მტრედის) დახმარებით იქნა გადატანილი. ქალაქის მოსახლეობამ მტრედებს ამაგი არ დაუკარგა და ლითონში ჩამოსხმული მათი ფიგურები ხიდის ბურჯებს მიამაგრა. პირველი „მტრედის ხიდი" 1968 წლის გაზაფხულის წყალდიდობამ დაანგრია. მის ადგილზე კი მეორედ იგივენაირი კიდული სისტემის ხიდი ააგეს, რომელიც 1993 წლამდე ემსახურა ქალაქის მოსახლეობას და რომელიც ამავე წელს მდინარემ დაანგრია. ხიდის დანგრევამ გაართულა მისი მიმდებარე უბნების მოკლე გზით დაკავშირება. განსაკუთრებული პრობლემა შეექმნათ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებ №2 და №3 საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

1993-1994 წლები ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოსთვის ერთ-ერთ უმძიმეს წლებს მიეკუთვნება. ქვეყანაში განვითარებული იმდროინდელი ცნობილი პროცესების გამო ეკონომიკური სიტუაცია მკვეთრად გაუარესებული იყო ქვეყნის ყველა ქალაქში თუ დაბაში. მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილისაგან გადარჩენისთვის იბრძოდა და ხიდის მშენებლობისათვის თითქმის არავის ეცალა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მრავალი სირთულისა, ბორჯომის რაიონის მაშინდელმა გამგებელმა და პარლამენტის წევრმა ბატონმა ჯუმბერ კურტანიძემ გადაწყვიტა არსებული ხიდის ადგილზე ახალი, უკვე რიგით მესამე, „მტრედის ხიდის" აშენება. ხიდის საპროექტო ვარიანტების განხილვის შედეგად რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ უპირატესობა მიანიჭა ე.წ ვანტურ სისტემას, როგორ შედარებით ეკონომიურსა და ბორჯომში მანამდე აგებული ხიდის სისტემებისაგან განსხვავებულს (ბორჯომში გვაქვს რამდენიმე ერთეული კოჭური და კიდული სისტემის ხიდი). ხიდის შერჩეული სისტემა იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში გათვალისწინებული იყო სიახლე სიხისტის კოჭს უნდა ემუშავა გაჭიმვაზე და ღუნვაზე (ტრადიციული სისტემის ვანტურ ხიდებში სიხისტის კოჭი მუშაობს კუმშვაზე და ღუნვაზე). მიღებული გადაწყვეტილების თანახმად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდებისა და გვირაბების 64 კათედრაზე (კათედრის გამგე პროფესორი გ.კიზირია, ინჟინერი ბორის მაისურაძე) სიმბოლურ ფასად სწრაფად დამუშავდა პროექტი და გადაეცა ბორჯომის რაიონის გამგეობას, 1994 წლის გაზაფხულზე რიგით მესამე „მტრედის ხიდის" მშენებლობა დაიწყო. ადგილობრივმა სამშენებლო ორგანიზაცია „რემონტმშენმა" (დირექტორი **ვახტანგ კაპანაძე**). პროექტის ეკონომიურობა ხიდის სტატიკურ სქემასთან ერთად, განპირობებული იყო ფოლადი. კონსტრუქციებში ადგილზე (ქ. ბორჯომში) მოპოვებული მასალების გამოყენებითაც (ვანტებად გამოყენებული იქნა ძველი ხიდის მზიდი ბაგირები, ხოლო პილონის კონსტრუქციაში ბორჯომში მოძიებული შველერები). მიუხედავად მრავალი სირთულისა (ძირითადად ეკონომიკური და რიგ შემთხვევაში ტექნიკურიც) რაიონის გამგებლის, ბატონ ჯუმბერ კურტანიძის, დიდი ძალისხმევით ხიდის მშენებლობა წარმატებით დასრულდა.



ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ წლებში ხიდის მშენებლობა კი არა, პურის ტალონებით გაცემა ძლივს ხდებოდა. 90-იანი წლების მსგავსი სირთულეები დიდი სამამულო ომის წლებშიც კი არ ახსოვთ უფროსი თაობის ადამიანებს. რაიონის ხელმძღვანელობამ პირადად **ჯუმბერ კურტანიძემ** გმირობის ტოლფასი ნაბიჯი გადადგა ხიდის მშენებლობისათვის. „მტრედის ხიდის" კონსტრუქტორი გახლდათ კათედრის გამგე **კიზირია,** ხოლო ქვაბისხეველი ახალგაზრდა ინჟინერი **ბორის მაისურაძე,** რომელიც დღეს საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო ფაკულტეტის საგზაო დეპარტამენტის ხიდებისა და გვირაბების მიმართულების პროფესორია. თითქმის ყოველდღე მშენებლობების გვერდით იყო. უმადურობა იქნება პატივისცემით არ აღვნიშნოთ ინდმეწარმეების **ზურაბ გელაშვილის, თამაზ კურტანიძის, ნოდარ გაგნიძის და** (სხვათა გულისხმიერება, თანადგომა და ხიდის მშენებლობაში აქტიური დახმარების აღმოჩენა.

მტრედის ხიდის" მშენებლობასთან დაკავშირებით ისტორიის გახსენება ვთხოვეთ ბატონ **ვახტანგ კაპანაძეს,** რომელმაც გულიანად გაიღიმა და გვითხრა:

- ხიდის მშენებლობის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ, 1996 წელს კონტროლის პალატამ ძირფესვიანად შეისწავლა მშენებლობის დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 150 ათასი დოლარის ნაცვლად ხიდის მშენებლობაზე მხოლოდ 18 ათასი ლარი იყო დახარჯული. საკითხი კონტროლის პალატის სხდომაზე გაიტანეს და ვერაფრით დავაჯერე ჩემს სიმართლეში, რომ ხიდის ცალკეული დეტალები რაიონში მოგროვებული ჯართის და რკინის დეტალებით შევავსეთ.

„მტრედის ხიდის" მშენებლობაზე უდიდესი წვლილი მიუძღვის იმდროინდელ გამგებელს და პარლამენტის ყოფილ დეპუტატს ბატონ **ჯუმბერ კურტანიძეს,** რისთვისაც ის მადლობისა და დაფასების ღირსია.

ხიდის მშენებლებს ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს გორის მექანიზებული ბაზის დირექციამ, რომელმაც სამი თვით გვათხოვა 25 ტონიანი ამწეკრანი, ხოლო რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ (დირექტორი გ. ქაშაკაშვილი) ძვირადღირებული ლითონის კოჭები (20 ტონა), სიმბოლურ ფასად მოგვცა. სხვათაშორის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელები გაკვირვებას ვერ მალავდნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ - ბარაქალა ბორჯომელებს. ახლა (90-იანი წლებში), კაცი რომ ხიდის მშენებლობას დაიწყებს და წარმატებით დაასრულებს, ნამდვილად სახელმწიფო ჯილდოს იმსახურებსო, - გვითხრა **ვახტანგ კაპანაძემ.**

ხიდის მშენებლობა წარმატებით დასრულდა (სიმბოლურ ფასად) და უკვე თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურება ბორჯომელებს და მის სტუმრებს. სათანადო მოვლა-შენახვის შემთხვევაში კიდევ დიდხანს მოემსახურება ბორჯომის მოსახლეობა.

ხიდის პროექტში განხორციელებული სიახლის გამო „საქპატენტმა" პროექტის ავტორების სახელზე გასცა შესაბამისი პატენტი (2620).

განახლებული „მტრედის ხიდის" მომავალ წელს 30 წელი უსრულდება.

**ვალერიან ლომიძე**

## პოეზიის კუთხე

# შენ დავიწყება არ გიწერია

### ექცევება 2010 წელს, ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების დროს, ტრაგიკულად დაღუპული ბაკურიანელი მოციგურავის ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნას.

დიდველიდან აფრენილო არწივო,
გადასერე ციგით თეთრი მთები,
ან რა ჰქონდა სიკვდილს შენთან საწილო,
რად შეერთდნენ, ნოდარ, თქვენი გზები.
კოხტა გორას ცრემლი დასდის ღვარებად,
ბაკურიანს ადევს გლოვის ფერი,
შენ სიკვდილის არაფერი გმართებდა,
გყავდა ძმები და არ გყავდა მტერი.
შორეული ვანკუვერის მიწაზე
როცა ყველა გამარჯვებას ელოდა,
მაგრამ, თურმე შენს ძმადნაფიც ციგაზე
უშიშარ ბიჭს იქ სიკვდილი ელოდა.
ძირს დაეშვნენ ხუთჯვრიანი ალმები,
წუთი გავდა ცაზე მეხისვარდნასა,
კავკასიონს მოწვდა გლოვის ზარები,
შავი ძაძა გადეფარა მთა-ბარსა.
თეთრი ფატა უხდებოდა შენს სატრფოს,
ბედნიერ დღეს შენთან ერთად ელოდა,
ვინ იცოდა, ვინ იტყოდა, რომ ამ დროს
ეს ოცნება სიზმარივით ქრებოდა.
ბაკურიანს ცრემლი დარდის ღვარებად,
კოხტა-გორა შენ გელის და არ სძინავს,
ცა გახსნილა ჩვენთვის გლოვის კარებად,
შენს დედიკოს მთები ეტყვის სამძიმარს.

გაზაფხული მოვა, მაგრამ უშენოდ,
გვირილები მთებზე აყვავდებიან,
შენ ვერ გაძლებ უციგოდ და უმთებოდ,
თეთრი მთებიც კვლავ შენ გელოდებიან.
შენ სიკვდილმა აგვატირა, გაგვთელა,
ჩვენთან არ ხარ, მაგრამ მაინც გვმასპინძლობ,
შენს წინაშე დღეს მუხლს ვიყრით
ჩვენ ყველა,
დიდ-ველიდან აფრენილო არწივო.
კავკასიის მთების შვილო მამაცო,
ფრთამოტეხილს, ქარი ნანას გიმღერის,
საქართველოს უშიშარო ვაჟკაცო,
მტერ-მოყვარე დღეს ყველა შენ დაგტირის.
დღეს მასპინძლობს დიდ სპორტს ბაკურიანი,
ფრიალებენ ათასფერი დროშები,
კოხტა-გორას დილა ადგას მზიანი,
გამარჯვებებს ჭედენ შენი ტოლები.
საქართველოს დღეს ტაშს უკრავს მსოფლიო,
მთებში ვხედნით გაუხედნავ ბილიკებს,
სპეტაკი ხარ, ვით პირველი თოვლიო
და შენს სახელს ხალხი არ დაივიწყებს.

**ჯემალ ბიბილური.**
სოფელი დვირი.

# შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ!



**თამაზ გამცემლიძე**
**მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელი**

– „ძალიან კმაყოფილი ვარ მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობით, თუმცა ჩემს კმაყოფილებაზე მეტად გვაინტერესებს, როგორი კმაყოფილები არიან საერთაშორისო ექსპერტები, სათხილამურო ფედერაციის მესვეურები, როგორ დასკვნებს დადებენ ისინი. ჩვენ ამისთვის, მათი დადებითი შეფასებებისათვის ყველაფერს ვაკეთებთ. წინასწარი დასკვნა ძალიან დადებითია, შუალედური დასკვნაც ასეთივეა, უბრალოდ ჯერ მაინც ვღელავ, ჯერ არ დამთავრებულა ჩემპიონატი და როცა ბოლომდე წარმატებით დავასრულებთ ყველაფერს, მაშინ ამოვისუნთქებთ თავისუფლად. შეფასებები ჯერჯერობით გვაქვს უმაღლესი, როგორც ორგანიზების კუთხით, ტრასების და მათი მდგომარეობის მხრივ, სტუმრების დაბინავების მხრივ და აშ. ვიმეორებ, წინასწარ მეშინია მაინც საბოლოო სიტყვის თქმა. 5 მარტს სრულდება ჩემპიონატი და მაშინ იქნება საბოლოო დასკვნა. ამჟამინდელი შეფასებები, პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარე ყველა აღფრთოვანებულია. რაც შეეხება საშეჯიბრო ტრასების და მთელი ინფრასტრუქტურის მოწყობას, ეს მთელი ჩვენი გუნდის ერთგულების დამსახურებაა. აღარაფერს ვიძახი მუხლჩაუხრელ შრომაზე, თითქმის თექვსმეტსაათიან სამუშაო რეჟიმში ვმუშაობდით. ტრასებს რაც შეეხება, რასაკვირველია ყველანაირი ამინდი შეიძლება იყოს, მაგრამ ვფიქრობ ამათ არაფერი ემუქრება, მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირას პლიუს ტემპერატურაა გამოცხადებული. წვიმაც ასევე დამღუპველია მათთვის, ისევე როგორც ზოგადად თოვლისთვის, თუმცა ამ დღეებში, ვიმეორებ, არაფერი გვემუქრება. იქნება თუ არა ჩვენთვის ემოციურად დისკომფორტული ჩემპიონატის შემდეგ ამ ტრასების დაშლა – რასაკვირველია. როგორც ხელოვნების ნიმუშები, ისეა შექმნილი, ისეთი დამუშავება სჭირდება. თუმცა კოხტაზე, მოგულის დისციპლინის ტრასას ვტოვებთ სასრიალოდ – ძალიან მოეწონათ დახრილობა, თოვლის საფარი, სიგანე, ჩვენი სპეციალისტების მომზადების დონე და გვთხოვენ ყოველწლიურად ჩავატაროთ საერთაშორისო ასპარეზობები. ასევე ვფიქრობთ, სკი-კროსი „დავტოვოთ“ ყოველწლიური ასპარეზობებისათვის. არეალსის ტრამპლინს დავშლით სიფრთხილისთვის, საშიშ ტრასებს არ ვტოვებთ. ნამდვილად ბედნიერები ვართ, ჩვენი შრომის შედეგებს რომ ვუყურებთ, გაგვეხსნა ხელ-ფეხი, მსოფლიომ გაიგო ჩვენს შესახებ, ევროსპორტი პირდაპირ ტრანსლიაციებს გადასცემს, მილიონობით მაყურებელი ადევნებს თვალს ამ რეპორტაჟებს. ეს მხოლოდ დასაწყისია!“

**მოამზადა რუსუდან სხირტლაძემ**

# ღვაწლი ღირსეულად დაუფასდა



**ბაკურიანში** ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატის სპორტული გახსნის დღეს, კვირას, 19 თებერვალს, პირველი ფინალური შეჯიბრის დაწყებამდე, მთის განვითარების სააგენტომ, საქართველოს სათხილამურო ფედერაციამ და საორგანიზაციო კომიტეტმა საზეიმო ვითარებაში დააფასა ვეტერანი მოთხილამურის **ოთარ გოცირიძის** დამსახურება, – მისი სახელი მიანიჭა დიდველზე არსებულ საშეჯიბრო ტრასას.

ბაკურიანი განვითარების სააგენტოს განყოფილების უფროსმა **თამაზ გამცემლიძემ** ვრცლად ისაუბრა ოთარ გოცირიძის შესახებ, გაიხსენა მისი სპორტული მიღწევები. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, 70-იან წლებში იგი იყო საქართველოს სამთო-სათხილამურო ნაკრების მთავარი მწვრთნელი. 1997 წელს თანამოაზრეებთან ერთად აღადგინა განადგურებული საბაგიროები ეგრეთწოდებულ 25-იანებთან გზა.

2000-იან წლებში წვლილი შეიტანა დიდველის დაარსება-მშენებლობაში და ტრასების ფორმირებაში, რის შედეგადაც დაინიშნა დიდველის საბაგიროს პირველ დირექტორად. ათწლეულების განმავლობაში გვერდში ედგა ბაკურიანის განვითარების ყველა წამოწყებას.

ასრულდა მისი დიდიხნის ოცნება და დღეს ბაკურიანი მასპინძლობს მსოფლიო ჩემპიონატს.

ოთარ გოცირიძემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა მისი ღვაწლის ღირსეულად დაფასებისათვის.

## შევნიშნეთ, გამოვასწორეთ...

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (23 თებერვალი, №9) მეორე გვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელთან გურამ ჩადუნელთან. ინტერვიუს ბოლო აბზაცში გაიპარა დასანანი შეცდომა, წვევამდელის გადავადების თანხა 200 ლარის ნაცვლად უნდა იყოს 2000 (ორი ათასი) ლარი.**

**კორექტურული შეცდომისათვის მკითხველებს და ინტერვიუერს ბოდიშს ვუხდით.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

# პირველი წარმატება




**ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატზე დავით თედიაშვილმა კვალიფიკაცია დაძლია და ფინალურ ბლოკში იასპარეზებს.**

ქართველმა მოთხილამურემ საკვალიფიკაციო ეტაპზე 32-ე შედეგი აჩვენა და აღსანიშნავია, რომ ფინალში სწორედ 32 მონაწილე გადადიოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფინალურ სესიაში ის დაშვებას მერვედფინალური სტადიიდან დაიწყებს.

იმავე დღესვე ძალები მოსინჯეს ლაშა კურტანიძემ და ბექა ბერძენიშვილმა, რომლებიც საკვალიფიკაციო ეტაპზე, 37-ე და 38-ე ადგილებს დასჯერდნენ.

# იტალიას გავახარეთ

**ბაკურიანში გრძელდება მსოფლიოჩემპიონატი. ამდენად სნოუბორდში შერეული გუნდური პარალელური სლალომი გაიმართა, რომლის გამარჯვებულიც იტალიის ნაკრები გახდა.**



ბევრჯერ შეცვლილი ამინდის მიუხედავად დიდველის ტრასაზე ფინალებმა კარგად ჩაიარა. **აარონ მარჩისა** და **ნადია ოშნერის** წყვილმა ფინალში ავსტრიელებს, **ანდრეას პრომეგერსა** და **ზამინა მოფმანს** სძლია, რომელთაც უკვე მოახერხეს ინდივიდუალურ ასპარეზობებში მედლების მოპოვება.

**„ოქროს მედალი მოვიპოვეთ და ამით კმაყოფილები ვართ. უბრალოდ გასაოცარია. კარგად ვიმუშავეთ. გვინდოდა, რომ უფრო სწრაფები ვყოფილიყავით. გუშინდელი დღიდან მოყოლებული კარგი შეგრძნება გვქონდა დღევანდელ შეჯიბრთან დაკავშირებით. ნადიას მეორე ცდაზე უფრო მეტი ზეწოლა ჰქონდა, თუმცა მან საქმეს შესანიშნავად გაართვა თავი“,** – განაცხადა გამარჯვებულმა იტალიელებმა.

ბრინჯაოს მედლის მფლობელები: შვეიცარიელები, **დარიო კავიეძელი** და **ჟული ცოვი** გახდნენ, რომელთაც მესამე ადგილისათვის გამართულ დაპირისპირებაში კიდევ ერთი იტალიური წყვილი, **მაურიციო ბორმოლინი** და **ლუსია დალმასო** დაამარცხეს.

კოხტას ტრასაზე ფინალური შეჯიბრებები ეარეალსის დისციპლინაშიც უნდა ჩატარებულიყო, თუმცა უამინდობის გამო ის გადაიდო. პარალელურად, ოფიციალური ვარჯიში ჰქონდათ სკი-კროსის სახეობაში, მათ შორის: **დავით თედიაშვილს, ლაშა კურტანიძეს და ბექა ბერძენიშვილს,** ხოლო სლოუფსთაილის ფრისკაში **ლუკა ჩოფიკაშვილმა და ბუთა ელოშვილმა** ივარჯიშეს.

მსოფლიო ჩემპიონატი ეარეალსის ფინალით გაგრძელდება და ტრასაზე ქართველ სპორტსმენებსაც ვიხილავთ.

შეგახსენებთ, ამ მომენტისათვის ბაკურიანში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ავსტრია ლიდერობს, რომელსაც 1 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი აქვს. მეორე ადგილზე შვეიცარიაა, მესამე ადგილს კი პოლონეთი იკავებს.

# ცოტა რამ თხილამურებით თავისუფალი სტილით სრიალის შესახებ

**თხილამურებით თავისუფალი სტილით სრიალი ანუ ფრისტაილი სათხილამურო სპორტის ოლიმპიური სახეობაა, რომლის შემადგენლობაშიც შედის ისეთი დისციპლინები, როგორიცაა სათხილამურო აკრობატიკა, მოგული სკი კროსი, ჰალფ-ფაიფი და სლოუფ სტაილი. ადრე ამ დისციპლინებში სათხილამურო ბალეტიც შედიოდა, მაგრამ 1999 წელს ოფიციალური შეჯიბრებების სიიდან მოიხსნა.**



ფრისტაილი ახალგაზრდა სპორტის სახეობად ითვლება, მისი ისტორია 1950-იანი წლებში სათხილამურო ბალეტიდან იწყება. ის სამთო-სათხილამურო შოუ იყო, რომლის დანიშნულება დამსვენებელთა გართობა გახლდათ და შემოსავლის გაზრდის წყაროს წარმოადგენდა.

ფრისტაილი ჩამოყალიბდა სამთო თხილამურობისა და აკრობატიკის შერწყმის შედეგად. 1966 წელს აშშ-ში, კოლორადოს შტატში ჩამოყალიბდა პირველი სკოლა სათხილამურო ბალეტის სპეციალისტების მოსამზადებლად და ამავე წელს გაიმართა პირველი შეჯიბრი ფრისტაილში.

პირველად მსოფლიო თასის გათამაშება ფრისტაილში ჩატარდა 1978 წელს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატი – 1986 წელს საფრანგეთში.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ფრისტაილი პირველად 1988 წელს გამოჩნდა, თუმცა ოფიციალურ ოლიმპიურ პროგრამაში 1994 წელს ჩაერთო. სკი კროსის დისციპლინის დებიუტი ვანკუვერის ოლიმპიადაზე შედგა, 2010 წელს, ფალფფაიფისა და სლოუფ-სთაილის კი 2014 წელს სოჭში.

### ფრისტაილის დისციპლინები შემდეგნაირია:

**სათხილამურო აკრობატიკა, იგივე აერიალსი. მასში გათვლილია მაქსიმალურად რთული აკრობატული ნახტომები სპეციალური ტრამპლინებიდან. აერიალსის ტრასა შედგება დაშვების დაღმართის, ზომებით განსხვავებული ტრამპლინებისაგან შემდგარი ფრისტაილ პლატფორმისა და ციცაბო ფერდისაგან სპორტსმენის დახტომისათვის.**

**ნახტომებს შემდეგი სისტემატურობით აფასებენ: ფრენა საერთო ქულების 20%, ფორმა ნახტომის – 50%, დახტომა – 30%.**

**მოგული** – ფრისტაილის დისციპლინა, რომელიც წარმოადგენს თხილამურებით დაშვებას გორაკებიან ფერდობზე, ასევე ტრამპლინებიდან ნახტომების შესრულებას. მოგულის გორაკებიან ტრასაზე, როგორც წესი, ორი ტრამპლინია. სპორტსმენების გამოსვლა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით – მოძრაობის ტექნიკა, ნახტომების სირთულე და ხარისხი, ასევე დაშვების დრო.

**სკი-კროსი** (სათხილამურო კროსი) ფრისტაილის დისციპლინა, რომლის დროსაც რამდენიმე ათლეტი ერთდროულად სპეციალურად მომზადებულ ტრასაზე ერთმანეთს სისწრაფეში ეჯიბრება. დისტანციის გავლისას, ისინი უმკლავდებიან ტრასაზე სპეციალურად მოწყობილ სხვადასხვა სირთულის წინაღობებს და ვირაჟებს. სკი-კროსის შეჯიბრებები ორ ეტაპად იყოფა – კვალიფიკაცია და ფინალი. პირველ ეტაპზე სპორტმენები ცალ-ცალკე ეცდებიან საუკეთესო დრო აჩვენონ. ფინალში კი ტრასაზე ერთდროულად ოთხი მოთხილამურე ეშვება. იმარჯვებს ის, ვინც პირველი გადაკვეთავს ფინიშის ხაზს.

**სლოუფსტაილი** – ფრისტაილის მორიგი დისციპლინა, სადაც მოთხილამურე დაშვებისას ასრულებს აკრობატულ ნახტომებს ტრასაზე სპეციალურად მოწყობილ ტრამპლინზე, პირამიდებზე, სპეციალურ მოაჯირებზე და სხვადასხვა წინაღობებზე. წინაღობები მთელი ტრასის გასწვრივაა განლაგებული.

**სათხილამურო ჰალფ-პაიპი.** ფრისტაილის ამ დისციპლინაში მოთხილამურე ეშვება სპეციალურად მოწყობილ დაღმართზე (ჰალფ-პაიპზე) და სხვადასხვაგვარ ტრიუკებს ასრულებს. მსაჯები აფასებენ ტრიუკთა სირთულეს, სიმაღლეს და სიხშირეს.

აღსანიშნავია, რომ ფრისტაილის დისციპლინების ნაწილი შედის სნოუბორდშიც. მაგალითად ჰალფ-პაიპი და სლოუფსტაილი. სნოუბორდის დისციპლინებია ასევე **სნოუბორდ-კროსი, სლალომი გიგანტი, ბიგეირი.** სპორტსმენი-სნოუბორდერები თხილამურების ნაცვლად ერთ ე.წ. დაფაზე, ანუ ბორდზე ასრულებენ სხვადასხვა ტრიუკებს.

ფრისტაილისა და სნოუბორდის ამ ყველა დისციპლინის ცოცხლად ხილვის საშუალება ბაკურიანის მსოფლიო ჩემპიონატმა მოგვცა.

**რუსუდან სხირტლაძე**